

შპს „ ინტერ ტრანსი „

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-17
-------------------------------------	------

შპს „ინტერ ტრანსი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

0	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3322607.07	3965039.75
არამატერიალური აქტივები	5	0	0
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	12	1097781.71	927442.56
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,420,388.78	4,892,482.31
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	31192.79	42083.08
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	947874.76	355614.3
მარაგები	8	8720.5	5851.56
წინასწარ გადახდილი გადასახადები		0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		987,788.05	403,548.94
სულ აქტივები		5,408,176.83	5,296,031.25
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-11321998.66	-10191539.74
გადაფასების რეზერვი		0	0
სულ კაპიტალი		(11,321,998.66)	(10,191,539.74)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	7858614.55	6854522.74
სავაჭრო და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	10	543106.15	194672.54
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,401,720.70	7,049,195.28
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	7395073.11	7924326.07
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი		0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	925314.68	483817.32
საგადასახადო ვალდებულებები		8067	30232.32
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,328,454.79	8,438,375.71
სულ ვალდებულებები		16,730,175.49	15,487,570.99
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,408,176.83	5,296,031.25



დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

[Handwritten signature]

[Handwritten signature]

/ალექსანდრე ჯაფარიძე/

/ცირა ბენდელიანი/

შპს „ინტერ ტრანსი“

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	<u>12</u>	2,948,374
თვითღირებულება	<u>13</u>	(166,104)
საერთო მოგება		2,782,270
სხვა შემოსავლები		17,596
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	(1,705,679)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(4,009)
სხვა ხარჯები	<u>15</u>	(415,218)
საოპერაციო მოგება		674,960
ფინანსური შემოსავალი	<u>19</u>	133,042
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	(1,620,445)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(318,016)
მოგება დაბეგვრამდე		(1,130,459)
მოგების გადასახადი	<u>18</u>	-
წმინდა მოგება		(1,130,459)
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		(1,130,459)



დირექტორი:

ს. ჯგერგი

/ალექსანდრე ჯაფარიძე/

მთავარი ბუღალტერი:

ნ. ზენდელიანი

/ცირა ზენდელიანი/

შპს „ინტერ ტრანსი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	-	-	(10,191,540)	(10,191,540)
წმინდა მოგება	-	-	(1,130,459)	(1,130,459)
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(1,130,459)	(1,130,459)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(11,321,999)	(11,321,999)



Handwritten signature in blue ink.

/ალექსანდრე ჯაფარიძე/

მთავარი ბუღალტერი:

Handwritten signature in blue ink.

/ცირა ბენდელიანი/

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ინტერ ტრანსი” (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახდო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 404970206. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ად. მიცკევიჩის ქ. №20, ბინა 8. ფაქტიური მისამართი: ქ.რუსთავი, ფიროსმანის 38.

დამუშენებლები: დავით ტაბატაძე (პ/ნ 01024008137) — 5% წილით, ზაზა ლომიძე (პ/ნ 01026003215) — 40% წილით, ესათია ნოდარი (პ/ნ 62005007407) — 5% წილით და გოგოხია გონა (პ/ნ 62006014107) — 50% წილით.

კომპანიის დირექტორი: ალექსანდრე ჯაფარიძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რუსთავი თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა. აღნიშნული საქმიანობა კომპანიამ დაიწყო რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებით სამგზავრო გადაყვანაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შედეგად.

საწარმოში 2018 წლის გამწვანებაში დასაქმებული იყო სულ 23 ადამიანი. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ხელფასები განსაზღვრულია დამტკიცებული საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს M2 კატეგორიის ავტობუსებით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა, რისთვისაც კომპანია იყენებს როგორც ბალანსზე რიცხულ M2 კატეგორიის ავტობუსებს, ე.წ. “ყვითელ” ავტობუსებს ასევე ფიზიკური პირების (ინდ.მეწარმეების) საკუთრებაში არსებულ M2 კატეგორიის ე.წ. “თეთრ” ავტობუსებს. “ყვითელი” ავტობუსები იხდიან იჯარისა და ორგანიზების მომსახურების გადასახადს; ხოლო “თეთრი” ავტობუსები მხოლოდ ორგანიზების მომსახურების გადასახადს.

საწარმოს საკუთრებაში არსებული M2 კატეგორიის ავტობუსები იჯარით გაცემულია საგადასახადოში რეგისტრირებულ ინდ. მეწარმე მძღოლებზე, რაზეც გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მათ ერიცხებათ იჯარის გადასახადი. საიჯარო ქირის ოდენობა და გადახდის წესი რეგულირდება იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად. რაც შეეხება ორგანიზების მომსახურების გადასახადს როგორც “ყვითელი” ისე “თეთრი” ავტობუსების მძღოლები ვალდებული არიან ყოველ ნამუშევარ დღეზე (რეისში გასვლა) გადაიხადონ მომსახურების გადასახადი; გადასახადის ოდენობა განისაზღვრება შიდა აქტების საფუძველზე ლოტების და მასზე მომუშავე ტრანსპორტის (“ყვითელი”/“თეთრი”) შესაბამისად.

საწარმოში შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა წარმოებს დარიცხვის მეთოდით. შემოსავლების კუთხით საიჯარო გადასახადის დარიცხვა იჯარით გაცემულ სატრანსპორტოს საშუალებაზე ხდება თვის ბოლოს სრულად, მიუხედავად იმისა თუ არა, ხოლო გადახდა ხდება ყოველდღიური ავანსების სახით. რაც შეეხება ორგანიზების გადასახადს ის ერიცხება ყოველ ნამუშევარ დღეზე და გადახდა წარმოებს ყოველ მომდევნო დღეს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული. ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

მომსახურება ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

კომპანიაში ძირითად საშუალებად აღიარდება აქტივი 1000ლარზე მეტი ღირებულებით, ყველა სახის სხვა 1000ლარამდე ღირებულების ინვენტარის ხარჯი აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის

მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ნაგებობები	10 წელი
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	7 წელი
მანქანა დანადგარები	5 -7წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
მიკროავტობუსები	7 -11 წელი
ავტომობილები	7 წელი

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს საწარმოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების ფლობასთან და გამოყენებასთან, ასევე ორგანიზების ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს მოიჯარეს და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც სატრანსპორტო საშუალება მიღება -ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცემა მოიჯარეს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურებასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენარჩუნებაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი

ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურიდიულის მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნები:

შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშვნა - ნაგებობები	ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ხელსაწყოები	ჯამი
ლარში							
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	11,810	18,049	-	7,945	8,428,715	44,647	8,511,167
შესყიდვა	-	-	1,575	-	-	-	1,575
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურება							-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია							-
გადაფასების რეზერვი							-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	11,810	18,049	1,575	7,945	8,953,612	44,647	9,037,640
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,925	7,746	-	3,836	4,512,156	20,463	4,546,127
ცვეთის ხარჯი	1,181	1,545	184	1,589	1,156,965	7,441	1,168,906
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	3,106	9,292	184	5,425	5,669,122	27,905	5,715,033
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის ბოლოს	9,885	10,303	-	4,110	3,916,558	24,184	3,965,040
2018 წლის ბოლოს	8,704	8,758	1,392	2,521	3,284,490	16,743	3,322,607

კომპანიის ძირითადი საშუალებები ჩადებულია გირაოში, ბანკის სესხის უზრუნველყოფის ნაწილში.

შენიშვნა 5 – სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები

სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში

	<u>31/12/2018</u>	<u>31/12/2017</u>
მისაღები პროცენტები	397,070	248,826
გაცემული სესხები	700,712	678,617
	1,097,782	927,443

შენიშვნა 6 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში

	<u>31/12/2018</u>	<u>31/12/2017</u>
ფული სალაროში	425	167
ფული საბანკო ანგარიშებზე	529	11,677
ფული საგამომიებლო ორგანიზაციაში	30,239	30,239
	31,193	42,083

შენიშვნა 7 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31/12/2018</u>	<u>31/12/2017</u>
დებიტორული დავალიანებები მომსახურებიდან	1,546,762	576,928
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	(603,078)	(227,573)
სხვა მოთხოვნები	4,190	6,259
	947,875	355,614

შენიშვნა 8- მარაგები

მარაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	<u>31/12/2018</u>	<u>31/12/2017</u>
დაუმთავრებელი წარმოება	12	18
სხვა მარაგები	8,709	5,833
	8,721	5,852

შენიშვნა 9_ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია

შემდეგნაირად:

ლარში	<u>31/12/2018</u>	<u>31/12/2017</u>
სავაჭრო ვალდებულებები	287,737	117,074
გადასახდელი ხელფასები	2	-
გადასახდელი პროცენტები ბანკი	245,736	68,225
გადასახდელი პროცენტები ფ/პირები	385,530	292,221
სხვა ვალდებულებები	6,310	6,298
	925,315	483,817

შენიშვნა 11 - სესხები

სესხები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	მოკლევადიანი <u>31/12/2018</u>	<u>31/12/2017</u>
მოკლევადიანი ბანკის სესხები უცხოვალ	6,811,666	7,353,376
მოკლევადიანი სესხები სხვა საწარმოებთან	425,407	95,950
მოკლევადიანი სესხები ფ/პირებთან	158,000	475,000
სულ სესხები	7,395,073	7,924,326

ლარი	გრძელვადიანო	
	<u>31/12/2018</u>	<u>31/12/2017</u>
გრძელვადიანი ბანკის სესხები უცხოვალ	4,108,857	4,580,043
გრძელვადიანი სესხები იურიდიულ პირებთან	3,749,757	2,274,480
სულ სესხები	7,858,615	6,854,523

კომპანიის ბანკის გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადა: 2022 წლის 13 ოქტომბერი.

სესხი #3098502 — 13.10.2022 წელი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.563%.

სესხი #3363455 — 13.10.2022 წელი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.69%.

გრძელვადიანი საბანკო სესხები უზრუნველყოფილია: კომპანიის ქონებით, ფიზიკური პირის უძრავი ქონებით და იურიდიული პირების თავდებობით.

12- ამონაგები

ამონაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	<u>31/12/2018</u>
რეკლამიდან შემოსავალი	12,556
საქონლის რეალიზაცია	201,472
მომსახურების რეალიზაცია	2,734,347
	2,948,374

13- თვითღირებულება

თვითღირებულება 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	<u>31/12/2018</u>
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	166,104
	166,104

14 - მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	<u>31/12/2018</u>
სარეკლამო ხარჯები	4,009

4,009

15 - სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	<u>31/12/2018</u>
დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი	375,505
მოგების გადასახადის ხარჯი - კანონმდებლობის თანახმად	3,122
ქონების გადასახადი	36,591
	415,218

16 - ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	<u>31/12/2018</u>
შრომის ანაზღაურება	264,847
ცვეთა და ამორტიზაცია	1,168,906
კომუნალურები	12,715
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	142,767
რემონტის ხარჯი	15,486
1000 ლარამდე ინვენტარის ხარჯი	2,557
ბანკის მომსახურება	40,849
იჯარის ხარჯი	49,212
საწვავის ხარჯი	4,931
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	2,702
კომუნიკაციის ხარჯები	707

1,705,679

17 - ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	<u>31/12/2018</u>
ბანკის სესხის პროცენტი	1,501,333
სხვა იურიდიულ პირებთან აღებული სესხის პროცენტი	119,112
	<u>1,620,445</u>

19 - ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	<u>31/12/2018</u>
გაცემული სესხის პროცენტი	133,042
	<u>133,042</u>

პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში შეტანილი არ აქვს სარჩელები, იმ პირებთან დაკავშირებით ვისაც დარღვეული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. რადგან ყველაზე მაღალი რაც შეიძლება მიიღოს კომპანიამ არის ამ პირებისადმი არსებული მოთხოვნების ნაშთები;

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბრით;



Handwritten signature in blue ink.

/ალექსანდრე ჯაფარიძე/